

შპს „კოფისტა“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6-14

შპს „კოფისტა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

ფინანსური მდგომარეობის უწყისი	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	484,921	469,720
საინვესტიციო ქონება		-	-
ბიოლოგიური აქტივი		-	-
		484,921	469,720
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	13,445	28,121
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	101,007	89,839
მარაგები	6	129,471	112,185
		243,923	230,145
მთლიანი აქტივები		728,844	699,865
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(632,569)	(137,009)
		(632,569)	(137,009)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	7	154,549	116,884
		154,549	116,884
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	7	393,800	103,182
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	706,015	554,071
საგადასახადო ვალდებულებები		49,643	40,985
გადასახდელი პროცენტი		57,406	21,752
		1,206,864	719,990
მთლიანი ვალდებულებები		1,361,413	836,874
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		728,844	699,865

დირექტორი

მიხეილ ფარულავა

20 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-14 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „კოფისტა“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

ფინანსური მდგომარეობის უწყისი	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	484,921	469,720
საინვესტიციო ქონება		-	-
ბიოლოგიური აქტივი		-	-
		484,921	469,720
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	13,445	28,121
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	101,007	89,839
მარაგები	6	129,471	112,185
		243,923	230,145
მთლიანი აქტივები		728,844	699,865
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(632,569)	(137,009)
		(632,569)	(137,009)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	7	154,549	116,884
		154,549	116,884
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	7	393,800	103,182
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	706,015	554,071
საგადასახადო ვალდებულებები		49,643	40,985
გადასახდელი პროცენტი		57,406	21,752
		1,206,864	719,990
მთლიანი ვალდებულებები		1,361,413	836,874
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		728,844	699,865

დირექტორი
 მიხეილ ფარულავა



20 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-14 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „კოფისტა“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	9	1,427,864	2,473,955
თვითღირებულება	10	(1,328,449)	(1,886,408)
საერთო მოგება		99,415	587,547
სხვა შემოსავლები	11	33,045	3,182
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(541,673)	(567,122)
მიწოდების დანახარჯები	13	(22,035)	(26,711)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	(19,615)	(12,462)
სხვა ხარჯები		(423)	(45)
საოპერაციო მოგება		(451,286)	(15,611)
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი	15	(44,273)	(15,779)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(44,273)	(15,779)
მოგება დაბეგრამდე		(495,560)	(31,390)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(495,560)	(31,390)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(495,560)	(31,390)

დირექტორი

მიხეილ ფარულავა

20 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-14 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „კოფისტა“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	9	1,427,864	2,473,955
თვითღირებულება	10	(1,328,449)	(1,886,408)
საერთო მოგება		99,415	587,547
სხვა შემოსავლები	11	33,045	3,182
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(541,673)	(567,122)
მიწოდების დანახარჯები	13	(22,035)	(26,711)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	(19,615)	(12,462)
სხვა ხარჯები		(423)	(45)
საოპერაციო მოგება		(451,286)	(15,611)
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი	15	(44,273)	(15,779)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(44,273)	(15,779)
მოგება დაბეგვრამდე		(495,560)	(31,390)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(495,560)	(31,390)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,			
გადასახადების გამოკლებით			
მთლიანი სრული შემოსავალი		(495,560)	(31,390)

ქ. დარეჯიშვილი

დირექტორი
 მიხეილ ფარულავა



20 სექტემბერი, 2021
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-14 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „კოფისტა“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	-	-	(105,619)	(105,619)
წმინდა მოგება	-	-	(31,390)	(31,390)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(31,390)	(31,390)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	(137,009)	(137,009)
წმინდა მოგება	-	-	(495,560)	(495,560)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(495,560)	(495,560)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	(632,569)	(632,569)

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

მიხეილ ფარულავა

20 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-14 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „კოფისტა“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	-	-	(105,619)	(105,619)
წმინდა მოგება	-	-	(31,390)	(31,390)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(31,390)	(31,390)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	(137,009)	(137,009)
წმინდა მოგება	-	-	(495,560)	(495,560)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(495,560)	(495,560)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	(632,569)	(632,569)

ხელმოწერი პირები:

დირექტორი
 მიხეილ ფარულავა



20 სექტემბერი, 2021
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-14 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „კოფისტა“ დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2015 წლის 27 აპრილს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, ფიზიკური პირი, მიხეილ ფარულავა წარმოადგენს კომპანიის 30%-იანი წილის მფლობელს, ნანა ნაჭყებია 40%-იანი წილის მფლობელს, ხოლო დიმიტრი ჯალაღონია 30%-იანი წილის მფლობელს

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს, საკვებით ვაჭრობა/მომსახურება კაფეების ქსელის მეშვეობით.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართია:

საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისი რაიონი, ქალაქი თბილისი, ქუჩა 9 აპრილი, N 3 (ყოფ. ჩიტაძის N3)/ ქალაქი თბილისი, ქუჩა ჩიტაძე, N 5 / ქალაქი თბილისი, ქუჩა ინგოროყვა, N 17 / ქალაქი თბილისი, ქუჩა ინგოროყვა, N 19-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, ქუჩა ინგოროყვა, N 19, სავაჭრო ფართი N2, სართული 0, ბლოკი "ბ"

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	31/12/2020	31/12/2019
1 აშშ დოლარი/ ლარი	3.2766	2.8677
1 ევრო/ლარი	4.0233	3.2095

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის. კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის

ანგარიშგებებს 2020 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2020 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის

განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ამონაგები

ამონაგები მოიცავს, პროდუქციის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავლებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს. შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მისი შესყიდვის ფასის, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე. ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელ

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)	
მანქანა დანადგარები	3-10
ავეჯი და ინვენტარი	1-5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანაგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულებების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ძირითადი საშუალებები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სულ
31 დეკემბერი 2019	261,411	442,210	703,621
შემოსვლა	110,079	42,895	152,974
გასვლა	(11,131)	(4,192)	(15,323)
31 დეკემბერი 2020	360,359	480,913	841,272
ცვეთა და გაუფასურება			
31 დეკემბერი 2019	(43,824)	(190,077)	(233,900)
პერიოდის ცვეთა	(44,712)	(84,089)	(128,802)
გაუფასურება	-	-	-
გასვლა	4,037	2,315	6,351
31 დეკემბერი 2020	(84,500)	(271,851)	(356,351)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2019	217,587	252,133	469,720
31 დეკემბერი 2020	275,859	209,062	484,921

4. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2020	12/31/2019
ნაღდი ფული სალაროში	10,752	14,370
ეროვნული ვალუტა ბანკში	2,693	13,751
უცხოური ვალუტა ბანკში	-	-
სულ	13,445	28,121

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2020	12/31/2019
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	30,183	21,390
გადახდილი ავანსები	70,824	68,449
სულ	101,007	89,839

შპს „კოფისტა“
განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

6. მარაგები

მარაგები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2020	12/31/2019
ნედლეული და მასალები	122,347	102,304
მზა პროდუქცია	7,124	9,881
სულ	129,471	112,185

7. სესხები

სესხები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2020	12/31/2019
გრძელვადიანი		
სესხები	100,458	99,000
ფინანსური იჯარის ვალდებულება (გრძელვადიანი ნაწილი)	54,091	17,884
	154,549	116,884

მოკლევადიანი		
სესხები	354,672	58,016
ფინანსური იჯარის ვალდებულება (მოკლევადიანი ნაწილი)	39,127	45,166
	393,800	103,182

სულ სესხები	548,349	220,066
--------------------	----------------	----------------

ფინანსური იჯარის მთლიანი ვალდებულება - მომავალი საიჯარო გადასახდელები	12/31/2020	12/31/2019
ერთი წლის განმავლობაში	55,213	57,936
ერთ წელზე მეტი და ხუთ წლამდე	68,048	18,718
ხუთი წლის შემდეგ	-	-
ჯამი	123,261	76,654

მომავალი ფინანსური ხარჯები	(30,043)	(13,603)
ფინანსური იჯარის ვალდებულება	93,218	63,051

ვალდებულება კლასიფიცირდება შემდეგნაირად:		
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება	54,091	17,884
მიმდინარე ნაწილი	39,127	45,166
სულ ფინანსური იჯარის ვალდებულება	93,218	63,050

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შპს „კოფისტა“
განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2020	12/31/2019
სავაჭრო ვალდებულებები	638,421	499,563
გადასახდელი ხელფასები	67,594	54,508
სულ	706,015	554,071

9. ამონაგები

ამონაგები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ამონაგები	2020	2019
საქონლის გაყიდვა	1,417,483	2,471,542
მომსახურების გაწევა	10,382	2,413
სულ	1,427,864	2,473,955

10. თვითღირებულება

თვითღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ნედლეული და მასალა	(494,467)	(776,029)
შრომის ანაზღაურება	(271,983)	(364,680)
იჯარის ხარჯი	(414,059)	(631,242)
კომუნალური ხარჯები	(63,441)	(70,633)
ცვეთა და ამორტიზაცია	(84,499)	(43,824)
სულ	(1,328,449)	(1,886,408)

11. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
არასაოპერაციო მოგება	33,045	3,182
სულ	33,045	3,182

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(254,217)	(269,863)
მივლინების ხარჯები	-	(8,816)

შპს „კოფისტა“
განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

სხვა ხარჯი	(177,821)	(133,406)
იჯარის ხარჯი	(5,249)	(19,344)
ოფისის ხარჯი	(6,557)	(14,579)
კომუნალური ხარჯები	(0)	(3,555)
კომუნიკაციის ხარჯები	(9,391)	(6,001)
რემონტი	(9,436)	(8,878)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(34,700)	(45,600)
ცვეთა და ამორტიზაცია	(44,302)	(57,081)
სულ	(541,673)	(567,122)

13. მიწოდების დანახარჯები

მიწოდების დანახარჯები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
რეკლამის ხარჯი	(8,801)	(9,561)
მარკეტინგული ხარჯი	(8,048)	(15,497)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(5,186)	(1,653)
სულ	(22,035)	(26,711)

14. სხვა შემოსულობა/(ზარალი)-ნეტო

სხვა შემოსულობა/(ზარალი)-ნეტო ხარჯი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
საკუროს სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(19,615)	(12,462)
სულ	(19,615)	(12,462)

15. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

<i>ფინანსური ხარჯი</i>	2020	2019
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(44,273)	(15,779)
სულ ფინანსური დანახარჯები	(44,273)	(15,779)

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2020	2019
შრომის ანაზღაურება მთლიანად	103,724	100,765
სულ	103,724	100,765

17. ფინანსური ანგარიშგების დამკვიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2021 წლის 22 სექტემბერს.